

საბანკო მომსახურების ერთი ახალი ფორმის შესახებთეონა ღვინევაძე¹, გელა ღვინევაძე²

1-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

2-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მსოფლიო პრაქტიკაში არსებული ფულადი მასის სახეები. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, შემოთავაზებულია საბანკო სექტორში დამატებითი სახსრების მოზიდვის ახალი პერსპექტიული ფორმა.

საკვანძო სიტყვები: საფინანსო ბანკი. საბანკო მომსახურება.

1. შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის დონეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის ფულადი მასის რაოდენობა, რომელიც მის ტერიტორიაზე ცირკულირებს. იგი წარმოადგენს ერთობლიობას იმ ნაღდი და უნაღდო საშუალებებისა, რომლებიც იმყოფება ფიზიკური და იურიდიული პირების, ასევე სახელმწიფო ორგანოების განკარგულებაში.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში მით უფრო მნიშვნელოვან ამოცანად გვივლინება აღნიშნული ფულადი მასის, რაც შეიძლება უფერტიანად გამოყენება. ამ თვალსაზრისით, პირველხარისხოვანი როლი ენიჭება საბანკო სექტორში სახსრების ნაკადის მოზიდვის უზრუნველყოფას.

სტატიაში შემოთავაზებულია საბანკო მომსახურების ერთი ახალი ფორმა, რომელიც, ავტორთა აზრით, ყურადღების მიქცევის ღირსია.

2. ძირითადი ნაწილი

განიხილავთ ფულადი მასის სხვადასხვა სახეებს, რომელთაც ფულად აგრეგატებს უწოდებენ. ძირითადი ნიშან-თვისება, როთაც ეს აგრეგატები ერთმანეთისაგან განსხვავდება, არის მათი ლიკვიდურობის სარისხი, ანუ ნაღდ ფულად გადაქცევის შესაძლებლობის სისწრაფე და სიმარტივე. სხვადასხვა ქვეყნებში ფულადი მასის აგრეგატულ სტრუქტურებად წარმოადგენისადმი სხვადასხვა მიდგომები არსებობს. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქმის გასამარტივებლად შემოიღო ყველა ქვეყნისათვის საერთო მახასიათებელი M1 (იხ. ქვემოთ) და დამატებით კიდევ ერთი, უფრო ზოგადი მახასიათებელი ე.წ. “კვაზი-თანხები”. ამ უკანასკნელის ქვეშ იგულისხმება სწრაფი და შემნახველი საბანკო ანგარიშები, აგრეთვე, ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი, ლიკვიდაციის მაღალი უნარის მქონე ფინანსური საშუალებანი.

პრაქტიკაში უმეტესწილად ფულად აგრეგატებს წარმოადგენს ისეთი იერარქიული სტრუქტურის სახით, რომელშიც ყოველი მომდევნო ელემენტი თავის შემადგენლობაში მოიცავს უშუალოდ წინამდგომს და შესაბამისად, ყველა წინა ელემენტსაც.

აღნიშნულ სტრუქტურას აქვს ასეთი სახე [1]:

$M_0 = \text{თავისუფალ}$ მიმოქცევაში მყოფი ნაღდი ფული;

$M_1 = M_0 + \text{ჩეკები}$ და ანაბრები მოთხოვნამდე;

$M_2 = M_1 + \text{შენატანები}$ ანგარიშებზე, სასწრაფო ანაბრები;

$M_3 = M_2 + \text{შემნახველი}$ ანაბრები;

$L = M_3 + \text{ფასიანი ქაღალდები}.$

სხვადასხვა ქვეყნებს სახელმწიფო არსებული ფინანსური მდგომარეობის გადასამოწმებლად საკუთარი მიდგომა გააჩნიათ. მაგალითად, რუსეთში კალენდარული წლისათვის ხდება M_0 და M_2 აგრეგატების გადანგარიშება. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ დიდ ბრიტანეთში მიღებული მიდგომა. აქ გამოთვლიან შემდეგ მაჩვენებლებს:

M0 - მიმოქცევაში მყოფი ბანქოტები და მონეტები + ბანკებში არსებული ნაღდი საშუალებები + ინგლისის ბანკში სხვა ბანკების ანგარიშებზე არსებული ნაშთები;

M1 - მიმოქცევაში მყოფი ბანქოტები და მონეტები + კერძო სექტორის მიმდინარე და დეპოზიტურ ანგარიშებზე არსებული ის სახსრები, რომლებიც შესაძლებელია ჩეკით გადაიგზავნოს;

M2 - მიმოქცევაში მყოფი ბანქოტები და მონეტები + უპროცენტო საბანკო დეპოზიტები + სამშენებლო ორგანიზაციათა დეპოზიტები + ეროვნული დანაზოგების სისტემის ანგარიშები;

M3 - M1 + კერძო სექტორის ყველა სხვა სახის საბანკო დეპოზიტები + დეპოზიტური სერტიფიკატები;

M4 - M1 + კერძო სექტორის საბანკო დეპოზიტების უმეტესი ნაწილი + ფულის ბაზრის ინსტრუმენტების შენატანები / ავუარები (შეენიშნოთ, რომ M4 აგრეგატი კერძო სექტორის ლიკვიდურობაზე მიუჟითობს).

იმისდამიხდევით, თუ ეკონომიკური განვითარების რა დონეზე იმყოფება ესა თუ ის სახელმწიფო, განსხვავებული წილი შეაქვს ფულადი მასის მოცულობაში ზემოთ ჩამოთვლილ აგრეგატებს. მაგალითად, დიდია ქაღალდის ფულის როლი ისეთი ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფულადი სახსრების მიმოქცევაში, როგორებიც გახლავთ ჯიბუტის რესპუბლიკა ან ტონგოს სამეფო, მაშინ, როდესაც მაღალაგანვითარებულ ქვეყნებში სიტუაცია საპირისპიროა [2].

მიუხედავად იმისა, რომ უნაღდო ანგარიშესწორებას ნაღდთან შედარებით გარკვეული უპირატესობანი გააჩნია (უმთავრესი ის გახლავთ, რომ კლიენტს კვაზი-თანხებზე, მაგალითად, ბანკში შეტანილ თანხაზე გარკვეული პროცენტი ერიცხება), მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არცთუ იშვიათად არჩევანს მაიც მეორე - თანხის შენახვა-აკუმულირების ნაკლებად მომგებიანი ფორმის სასარგებლოდ აკეთებს, რასაც, სპეციალისტების აზრით, განაპირობებს შემდეგი 4 მნიშვნელოვანი მოტივი [3]:

1) უპირატესობის მინიჭება ლიკვიდურობის მაჩვენებლის გაცილებით მეტი (ფაქტობრივად, აბსოლუტური) ხარისხისათვის. ამ მომენტს პირველმა ქურადღება მიაქცია ცნობილმა სპეციალისტმა ჯონ კეინსმა.

2) ტრანსაქციურად სახელდებული მოტივი, რომლის არსი ასე შეიძლება იქნეს განმარტებული: ნაღდი თანხით ნივთის შეძენას, რამე მომსახურების საფასურის გადახდას არ სჭირდება ისეთი პროცედურების გავლა, როგორიც არის, მაგალითად, ჩეკით ანგარიშის გასწორებისას მისი ვარგისიანობის შემოწმება. ამასთან, ზოგან შესაძლებელია, საერთოდ უარიც კი განაცხადონ მის მიღებაზე.

3) ადამიანი ფიქრობს, რომ გამორიცხული არ გახლავთ, მას მოულოდნელად საშუალება მიეცეს რამე ისეთი სარფიანი გარიგებისა, რომლის დროსაც თანხის გადახდა, გარდა ნაღდი ანგარიშესწორებისა, სხვა გზებით ვერ მოხერხდებოდა.

4) ე.წ. სპეციალური მოტივი – თავის დაზღვევა მსოფლიოსა თუ საკუთარ ქვეყანაში რამე მოულოდნელი სიტუაციებისაგან. ასეთი შემთხვევებში, მაგალითად, საბაზრო კურსის მკვეთრი რყევებისას, ადამიანს გაცილებით უფრო ემუდება, ხელში ეჭიროს მისი კუთვნილი თანხა, ვიდრე იგი რომელიმე სხვა ფორმის აგრეგატულ მდგომარეობაში (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების სახით) ეგულებოდეს.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მისი ფინანსური სისტემის გამართული მუშაობა, რაც, თავის მხრივ, დიდწილად არის დამოკიდებული სახელმწიფო და კომერციული ბანკების მიერ კაპიტალის მოზიდვის ეფექტურობაზე. მეანაბრის არჩევანზე - განათავსოს თუ არა თავისი კაპიტალი ამა თუ იმ ბანკში, ძალიან დიდ გავლენას ახდენს დანაპირები - რამდენი პროცენტი დაერიცხება მის შენატანს წინასწარ დათქმული პერიოდის (თუ პერიოდების) ბოლოში. მაგრამ, როგორც უკვე ვნახეთ, ბანკის

მომავალი კლიენტები გადაწყვეტილების მიღებამდე ითვალისწინებენ არა მხოლოდ ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის ამა თუ იმ ბანკის რეპუტაცია, შემოთავაზებული პროცენტი თუ მომსახურების ხარისხი, არამედ ახდენენ რა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და/ან პოლიტიკური ვითარების შეფასებას, არცთუ იშვიათად ამჯობინებენ დაგროვილი თანხა „უკეთეს დროებამდე“ სახლში შეინახონ ან განათავსონ სხვა ქვეყნების დაბალპროცენტიან, მაგრამ, მათი შესედულებით, უფრო სამედო ბანკებში.

დგება საკითხი – შესაძლებელია საბანკო სექტორმა კლიენტს, პოტენციურ მომხმარებელს შესთავაზოს საბანკო მომსახურების ისეთი ფორმა, რომელიც გაანეთრალებს მასზე ზემოთ აღწერილი მოტივების ზემოქმედებას, მით უფრო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში, „აიძულებს“ მას იყოს უფრო თავდაჯერებული და თავისი სახსრების ბედის წარმართვა საკუთარი ქვეყნის ბანკს ანდოს?

ქვემოთ აღვწერთ ერთ იმგვარ, ჩვენი აზრით, პერსპექტიული სახის საბანკო მომსახურების ფორმას, რომელშიც შენარჩუნებული იქნება ყველა ის ღირსება, რომელთა გამოც ადამიანები ბანკების კლიენტები ხდებიან და ამასთან, დიდწილად მოხსნილი იქნება ზემოთ აღწერილი უარყოფითი მხარეები.

თავიდანვე აღვინიშნავთ, რომ ასეთი სახის სერვისის დანერგვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდება სახელმწიფო დონეზე და არა რომელიმე ერთი ბანკის ან საბანკო ჯგუფის მიერ.

იდეის არსი შემდეგში მდგომარეობს:

- მეანაბრე ბანკში დეპოზიტზე განათავსებს ი რაოდენობის თანხას (ვთქათ, 100 000 ლარს), სანაცვლოდ ბანკი მას მაშინვე უბრუნებს ამ თანხის დიდ პროცენტს (დავუშვათ, 90%-ს, ანუ მოცემულ შემთხვევაში - 90 000 ლარს).

- თანხა მეანაბრეს უბრუნდება ერთმანეთს მიყოლებულნომრებიანი (სასურველია მსხვილი) კუპიურების დასტის სახით.

- ბანკი კლიენტთან აფორმებს ხელშეკრულებას - თუ კუპიურების ზუსტად ეს დასტა (ხელშეკრულებაში ფიქსირდება ნომრების დიაპაზონი) გარკვეული პერიოდის (დავუშვათ, 1 წლის შემდეგ) შემდეგ ამ მეანაბრის მიერ ბანკს დაუბრუნდება, მას სანაცვლოდ ხელზე გადაეცემა (ან, სურვილის მიხედვით, მის ანგარიშზე ჩარიცხება) თავდაპირველად შეტანილთან შედარებით გაზრდილი ოდენობის თანხა (ვთქათ, 100 000 + 5 000 ლარი).

- თუ მეანაბრე აღნიშნული დასტის დაბრუნებას ვეღარ ახერხებს, მას დაუბრუნდება მხოლოდ ბანკში მის მიერ რეალურად შეტანილი თანხა (მოცემულ შემთხვევაში 10 000 ლარი), დათქმული პროცენტების გარეშე.

- დათქმულ პერიოდში სახელმწიფოს შეეძლება მიმოქცევაში გაუშვას მეანაბრის მიერ შემოტანილი მთელი ან ნაკლები ოდენობის თანხა, რომლის „დუბლიკატიც“ ამ პერიოდის განმავლობაში, დიდი ალბათობით, ინახება მეანაბრესთან, შესაბამისად, ქვეყანაში ფულის მიმოქცევიდან ამოღებულია.

ერთია ჩანაფიქრი და სხვა საქმე - პრაქტიკა, მაგრამ თუ საბანკო მომსახურების შემოთავაზებულმა ფორმამ გაამართლა, ბანკმა, კიდევ უფრო მეტი სახსრების მოზიდვის მიზნით, შესაძლოა კლიენტს თანხის შემოტნისას თითქმის მთლიანად დაუბრუნოს იგი ზემოთ აღნიშნული სახით და იმავე პირობების დაცვით. ამასთან, კლიენტების უკეთ მომსახურების მიზნით, დასაშვებად მიგვაჩნია მათოვის კიდევ ერთი საინტერესო მომსახურების ფორმის შეთავაზებაც - მათი სურვილის შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული ბანკში დაფიქსირებული, ერთმანეთს მიყოლებულნომრებიანი კუპიურების დასტა დათქმული პერიოდი განმავლობაში უფასოდ იქნეს შენახული სპეციალურ შემნახველ ავტომატ-საჭის სექციაში, რომელთანაც შეღწევა კლიენტს

შექმლება პაროლის (კოდის) მეშვეობით. ამ გზით მოდიფიცირებული საბანკო მომსახურების მეთოდი იძებნ დამატებით ღირსებებს:

- კლიენტისათვის გადაცემული თანხა საიმედოდ იქნება დაცული;
- საჭირო გადამდე ადრე გაღების შემთხვევაში ბანკი მყისიერად მიიღებს შეტყობინებას - თანხა კლიენტის მიერ გატანილია და მას ოპერატიულად მოეხსნება ამ თანხაზე პროცენტების დარიცხვის ვალდებულება.

ლიტერატურა:

1. Новый экономический словарь / Под редакцией А. Н. Азрилияна. — М.: Институт новой экономики, 2006. ISBN 5-89378-014-0
2. <http://www.knukim-edu.kiev.ua/index.php?id=35&view=article>
3. http://economics-bases.ru/economics_t1l1part1.html

ABOUT ONE NEW FORM OF BANKING SERVICE

Gvinepadze Teona, Gvinepadze Gela
Georgian Technical University

Summary

The work considers the types of money supply in world practice and offers new promising method of raising funds in banking area considering world economical crisis.

ОБ ОДНОЙ НОВОЙ ФОРМЕ БАНКОВСКОГО ОБСЛУЖИВАНИЯ

Гвинепадзе Т., Гвинепадзе Г.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрены существующие в мировой практике виды денежных средств. С учетом мирового экономического кризиса предложено новая перспективная форма привлечения в банковский сектор дополнительных средств.